ეროვნული ბიბლიოთეკა

# ბურჯი ეროვნებისა

დეკემბერი | BURJI EROVNEBISA | 1995 წელი

აბიტურიენტის ფურცელი
გვ. 8-9

რა ენა წახდეს
გვ. 10-11

უკვდავება ღვაწლისა
გვ. 5

მარადიული თანამედროვე
გვ. 7

ენა და მწერალი
გვ. 6



5

ენა და ეროვნული კულტურა
გვ. 3-4

სამეცნიერო ქრონიკა
გვ. 14

ენა და ნორმა
გვ. 11

როგორ გაჩნდა სიტყვა
გვ. 12

ანაბანა
გვ. 15

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბესარიონ ჯორბენაძის საზოგადოების გაზეთი

მთავარი რედაქტორი
გიორგი გოგოლაშვილი

მთავარი რედაქტორის მოადგილე
იოსებ ჭუმბურიძე

დირექტორი
კახა გაბუნია

პასუხისმგებელი მდივანი
შაბუკა ძირია

მხატვრული რედაქტორი
ილია ჭრელაშვილი

რედაქტორები:
ქეთევან დათუკიშვილი,
ციცინო კვანტალიანი,
ნანა ლოლაძე,
რამაზ ქურდაძე,
ნინო ჭუმბურიძე,

სარედაქციო საბჭო
შუქია აფრიდონიძე,
ჩენარდი ბურჭულაძე,
ლეილა ბეთურაძე,
კორნელი დანელია,
მანანა კობაიძე,
გიორგი წიბახაშვილი,
თამაზ ხმალაძე,
ნინო ჯორბენაძე

მხატვარი
გია ლაშხი

მორიგე რედაქტორი
რამაზ ქურდაძე

# ბედნიერ ახალ წელს გისურვებთ

მიიწურა 1995 წელი; წელი ჩვენი გაზეთის დაბადებისა...

უკვე მეხუთედ ვხვდებით ერთმანეთს; დიახ, ნაცნობები გვეთქმის. ნაცნობობის ხუთი თვე და გაზეთის ხუთი ნომერი, ალბათ, უფრო გულახდილი საუბრის უფლებასაც გვაძლევს. გეთანხმებით, ჩვენო კეთილისმოსურნენო, ზოგი რამ ვერ ვთქვით ისე, იმ ფორმით, იმგვარად, ამ ჩვენს საერთო საფიცარს, ქართულ ენას რომ ეკადრება; უნდა მოგვიტევოს დედა ენამაც და მკითხველმაც, უნდა გვეპატიოს ახალბედობის გამო... ისე კი, ჩვენ მცდელობა არ დაგვიკლია, პირნათლად წარვმდგარიყავით თქვენს წინაშე...

ჩვენი გაცნობისას (პირველ ნომერში) ვწერდით: „ველოდებით შემოტევას განაწყენებული ადრესატისაგან". იყო ასეთი შემოტევებიც. ჩვენს მიერ დაწუნებული ესა თუ ის ფორმა რომელიმე თანამდებობის პირის ნათქვამად იცნეს და ცდილობდნენ, ჩვენი პოზიციისათვის პოლიტიკურად მცდარი ეწოდებინათ... ადრეც გვითქვამს და ვიმეორებთ: ჩვენ არა ვართ პოლიტიკოსები; პოლიტიკა იმდენად გვაინტერესებს, რამდენადაც იგი ენასთანაა კავშირში. სხვაგვარად რომ ვთქვათ, ჩვენ ენობრივი პოლიტიკა გვაინტერესებს და შევეცდებით ვეურთგულოთ ამ ჩვენს პოზიციებს. ამავე დროს, ვფიქრობთ, დედაენის მიმართ ერთგვარად ვართ პასუხისმგებელნიც და ვალდებულნიც დიდი თუ პატარა, ერი თუ ბერი... ისე კი, საინფორმაციო საშუალებათა მიმართ, ვთქვით ერთხელ და გავიმეორებთ: რაც უფრო მაღლა ვდგავართ საზოგადოებრივ კიბეზე, მით უფრო შორს წვდება ჩვენი ხმა, მით მეტი გვისმენს და მით უფრო დიდია ჩვენი სიტყვის გავლენის ძალა. შესაბამისად,მით უფრო მეტი უნდა იყოს თითოეული ჩვენგანის პასუხისმგებლობა.

ასე გვესმის ჩვენ ეს საკითხი და ამიტომაც კვლავინდებურად ვუქომაგებთ ქართულ ენას, კვლავ ვიბრძოლებთ მისი ინტერესების დასაცავად. და გთხოვთ, ნუ ვეცდებით ამ წმინდა მიზნის გაუფასურებას, მრუდე სარკეში მის დანახვას.

უსიამოვნო რეაქცია იმანაც გამოიწვია, რომ რამდენიმე უწყებისა თუ ორგანიზაციის (გამომცემლობა „განათლება", დედაქალაქის მერია, ტელერადიო დეპარტამენტი, მეცნიერებათა აკადემია) ხელმძღვანელს შეკითხვით მივმართეთ. ისევ პირადული, კერძო, სუბიექტური მიზანი დაინახეს ამ მიმართვაში... არ გახლავთ ასე!.. შეკითხვის მიზანი ერთადერთია: ვფიქრობთ, ქართული ენის კონსტიტუციური უფლება ირღვევა, ან ღირსება ილახება იმ დაწესებულებაში, უწყებაში... და გვსურდა, ამისთვის მიექცია ყურადღება ადრესატს. თუ ჩვენ ვცდებით და არასწორად შევარჩიეთ ადრესატი (ღმერთმა ქნას, ვცდებოდეთ ყველაფერი რიგზე იყოს ამ მხრივ იქ! ჩვენ საჯაროდ მოვიხდით ბოდიშს და პატიებას ვთხოვთ ადრესატსა და ღმერთს შეცოდებისათვის...), უნდა გვითხრან და მკითხველამდეც მივიტანთ ამ ამბავს. მაგრამ, ვაი რომ, საქმე სწორედ ისეა, როგორც ჩვენ ვხედავთ და ეს გვიკლავს გულს. კაცმა რომ თქვას, პასუხსაც არ ვითხოვთ. საქმე მოგვარდეს და ეს იქნება საუკეთესო პასუხიც... ვფიქრობთ, საქმის მოგვარება სჯობს პრესტიჟისათვის თავის მართლებას! თავი იმით უნდა ვინუგეშოთ, რომ დიდი წინაპრისა არ იყოს, „ჩვენ ყველანი ქართული ენის ხმარებაში ცოდვილნი ვართ და ჩვეულება ურთიერთის ცოდვების ჩვენებისა არ იქნება მომატებული. მაშ, როგორღა უნდა გავსწორდეთ, თუ ჩვენი სიმრუდე არ გვეცოდინება? ნეტავი ორიოდე კაცი იყოს საქართველოში, რომ ჩვენი ბოროტება ერთიანად ასწეროს და დაგვანახოს... აბა, ის იქნება ნამდვილი საქებარი მამულისმოყვარე და არა ის, მეტისმეტად დაბრმავებული სიყვარულისა გამო, ანგელოზივით ახატებს საქართველოსა. ბოროტების ღიარება ნახევარი გასწორებაა. ჩვენი მხრით აქაც კი ვიტყვით, რომ ჩვენი ქართული ენა ისე გვიყვარს, რომ ჯერ ვეცდებით, რომ მის წინააღმდეგ არ მოვიქცეთ და, თუ ღმერთი გაგვიწყრა და უზრდელად მოგვივა რამე, მის შენიშვნას სიხარულით და მადლობით მივიღებთ".

**ბედნიერ ახალ წელს გისურვებთ, ძვირფასო მკითხველო.**

## მეცნიერის არქივიდან

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბესარიონ ჯორბენაძე

# ენა და ეროვნული კულტურა

(დასასრული, დასაწყისი იხ. „ბ." №3)

კაცობრიობის ისტორიაში არა ერთი და ორი მაგალითია იმისა, თუ როგორი ხელებით ხელოვნურად შეკოწიწებული ერთიანობის დაშლა ბუნებრივ ერთიანობებად. ნიმუშად ენის მაგალითიც გამოგვადგება: ძალმომრეობით გავრცელებული ენა ხელ მალე, 4-5 საუკუნეში (ეს კი ენისთვის ძალზე მცირე პერიოდია) დაშლილა ჯერ დიალექტებად, რომელთა საფუძველზე შემდგომ დამოუკიდებელი ენები ჩამოყალიბდნენ: ლათინური, არაბული ენები ამის თვალნათლივი ნიმუშებია: ლათინურის „დაშლის" შედეგადაა წარმოქმნილი ფრანგული, ესპანური, პორტუგალიური, რუმინული ენები; თანამედროვე არაბულის დიალექტებზე მოლაპარაკენი, ვერავერ აგებინებენ ერთმანეთს...

ახლა რომ, გონივრული, გააზრებული დამოუკიდებლობა საჭირო ამ საკითხისადმი, სურვილის მიხედვით ეს ურთულესი პრობლემა ვერ გადაწყდება, ობიექტური საფუძვლების გათვალისწინება აუცილებელი. სხვა მხრივ გარდაუვალია საბედისწერო შეცდომა.

და აი, მეორე ნიმუში, თუ როგორ შეუძლია ბუნებრივ ერთიანობას, გაუძლოს საუკუნეების გამოცდას: თითქმის ოთხი საუკუნეა, რაც ფერეიდნელები თავის სამშობლოს მოწყვეტილი არიან, მაგრამ ეროვნული ერთიანობის თვითშეგნებამ დღემდეც შეუნარჩუნა მათ და „დიდი საქართველოსკენ" გაუნელებელი სწრაფვაც.

ენის დაკარგვა ერის გადაგვარების პირველი ნიშანია. ერის გადაგვარებით იწყება ეროვნული სულისკვეთების კვდომა, ეროვნული მსოფლხედვის ნგრევა.

სამწუხაროდ, ისტორიამ ბევრი იცის გადაშენებული ერების საბედისწერო ბედი, რომელთა აღგვა პირისაგან მიწისა ენის დაკარგვით დაიწყო.

ყოველი ასეთი ეროვნული კატასტროფა დიდი დანაკლისია ცივილიზაციისთვის: ყოველი ენის გაქრობა იმას ნიშნავს, რომ კიდევ ერთი სახელი მოაკლდა მზეს, სიყვარულს, დღეს, რომ კიდევ ერთი ფერი დაკარგა სამყარომ, კიდევ ერთი ნათელი სხივი — ადამიანის სულმა.

სიძლიერე და სილამაზე მრავალფეროვნების ურთიერთშეხამებასა და ურთიერთშეთავსებულობაშია და არა სიცოცხლისუუნარო ერთსახოვნებაში.

* * *

ტალეირანს უთქვამს: ენა იმისთვის მაქვს, რომ ჩემი აზრები დავფარო. ამ ნათქვამში უფრო ენამახვილობაა, ვინემ გონებამახვილობა, რადგან სინამდვილეში ვფარავთ ნა-ეკ ენის საოცარ თვისებას: გამომჟღავნოს პიროვნების სულიერი სამყარო.

ენის საშუალებით საზოგადოების ესა თუ ის ფენა სხვათაგან გამოცალკევებას რომ ცდილობს, ეს კარგად არის ცნობილი. გამოცალკევების ერთ-ერთი საშუალება ჟარგონია. ჟარგონი სხვადასხვა სახისა არსებობს, ერთ-ერთი მათგანია ასაკობრივი ჟარგონი, რომელიც, უპირატესად, ახალგაზრდობისთვისაა დამახასიათებელი. ახალგაზრდას უკვე უჩნდება იმის სურვილი, რომ თავისი გამორჩეული ადგილი მოიპოვოს საზოგადოებაში და ამ მისწრაფების გამოხატვას მეტყველებითაც ცდილობს. მაგრამ ჟარგონს, გარდა გამორჩეულობისა, მეორე მხარეც აქვს: იგი კლავს პიროვნების ინდივიდუალობას და ყველასა და ყველაფერს ერთ უსახო მასად აქცევს. ეს კი უმეტეს უკუზეგავლენას ახდენს ახალგაზრდის სულიერ სამყაროზე. ახალგაზრდას უთუოდ აქვს თავისი, საკუთარი, სხვათაგან განსხვავებული განცდა, შეგრძნება, მსოფლაღქმა, მაგრამ მის გამოსახატავად შესაფერისი სიტყვები ვერ უპოვია. მაშინ იგი იოლ გზას ირჩევს და ისევ და ისევ იმ სიტყვებს მოიხმარს, მის წრეში რომ ტრიალებს. თავდაპირველად, რა თქმა უნდა, იგი გრძნობს, რომ მის აზრსა და წარმოთქმულ სიტყვას შორის დიდი ზღვარია, მაგრამ თანდათანობით ეჩვევა ამ სიტყვაცის, ინდივიდუალობის გრძნობა უჩლუნგდება, შემდეგ კი მისი აზროვნებაც ამ სიტყვათა თარგზე აიგება და კიდევ ერთი ინდივიდი გახდება უსახური მასის უსახური ნაწილი.

ადამიანმა თავისი ადგილის მოპოვება საზოგადოებაში იმით უნდა დაიწყოს, რომ თავის ინდივიდუალურ სულიერ სამყაროს შესაბამისი გამოხატულება მოუძებნოს.

სხვა მხრივ, იგი თავისი მეობის კვდომის საბედისწერო გზას ვერ ასცდება.

ასეთი რამ ჭრილიც იშვიათად განუცდია საქართველოს.

გადავავლოთ თვალი XV–XVIII საუკუნეების სიგელ-გუჯრებს და ენის გაღატაკების, გაუფერულების, სინტაქსის ძირეულ დამრღვევ ნიმუშებს მრავლად წავაწყდებით. უთავბოლოდ შემოდის უცხოენოვანი ლექსიკა, განსაკუთრებით მახინჯდება ქართულისათვის ბუნებრივი სინტაქსური წყობა, გა-სიც როგორ ხერხ, ის ლაპარაკობს და ის წერს. დაგლეჯილ-დაქუცმაცებული სახელმწიფოებრიობა, დაშლილი ერთიანობა, წვრილმან მისწრაფებებად დანაწევრებული სულისკვეთება უშუალოდ ირეკლება ენაში — ყველას თავისი კუთხის მეტყველება აქვნია ერთადერთ მართებულად, ყველას თავის თარგზე გამოჰყავს ენა. აღარსად დარბაისლური მეტყველება, აღარსად დედაენით სიამაყე, აღარსად გაფრთხილება აკვნიდან ნაზიარევი ენისა.

და ენამაც უკუზეგავლენა მოახდინა საზოგადოების სულიერ წყობაზე. საჭირო გახდა თავდადებული ღვაწლი მთელი თაობისა, რომ ქართულ ენას დაბრუნებოდა თავისი მიმქრალი დიდებულება, მინავლებული ბრწყინვალება და ქართული საზოგადოებისათვის ჭეშმარიტად მამულიშვილური სულისკვეთების მასაზრდოებელი გამხდარიყო.

ენის მოვლა, მისი დახვეწა და განვითარება ყოველი კულტურული ერის უპირველესი საზრუნავია.

ეროვნულ მონაპოვართა შორის ენა უმთავრესია, ხოლო ენის დაცვა, დახვეწა და განვითარება უწინარეს პირობად გულისხმობს მართებული ენობრივი პოლიტიკის საფუძველზე მომავალი თაობის აღზრდას.

ენა აზროვნების გამოვლინებაა. დახვეწილი ენა უშუალოდ განსაზღვრავს აზროვნების დახვეწილობას.

ქართულ წყაროებს არა ერთი და ორი ფაქტი შემოუნახავთ იმისა, თუ რაოდენ მნიშვნელოვანი ადგილი ეჭირა ქართველთა ცნობიერებაში ენის ფენომენს. ეროვნული ერთიანობის იდეა და კულტურის აღმავლობა უპირველესად სწორედ ერთიანი ენის ფაქტორით განისაზღვრებოდა.

ამასთან დაკავშირებით განსაკუთრებულ ღირებულებას იძენს საკითხი ტერიტორიული და სოციალური დიალექტების თაობაზე, ენობრივი პრობლემა ურბანიზაციის პირობებში, სალიტერატურო ენის ნორმათა მართებული პრინციპების გამომუშავების საკითხი და სხვა.

* * *

იყო პერიოდი, როდესაც ხალხი (მეტყველი — ერი) განისაზღვრებოდა სახელმწიფოებრივი ნიშნით. რომის იმპერიაში ყველა რომაელი იყო, [illegible] ნიშნებით განსხვავებულ ჯგუფებს მოიცავდა. რუსეთის იმპერიაში მცხოვრები ყველა ერი თუ ეროვნება, როგორც წესი, რუსად იწოდებოდა...

ამის პარალელურად გარკვეულ პერიოდში ეროვნულობის ნიშნად რელიგიური ფაქტორიც გამოდიოდა: კათოლიკე ქართველი „ფრანგი" იყო, გრიგორიანელი ქართველი — „სომეხი" და ა.შ.

ამ ბოლო ხანს კი ერის განმსაზღვრელად სულ უფრო დაბეჯითებით გამოიკვეთა ენის ფაქტორი.

რასაკვირველია, ეს ნიშანი ადრეც არსებობდა, საქართველოსათვის კი მთავარ არსებით ფაქტორად იყო მიჩნეული, რადგან გარკვეულ ისტორიულ-პოლიტიკურ ვითარებათა გამო, საქართველოს ერთიანობის ღერძად სწორედ ენობრივი კონსოლიდაცია ედო.

მაშინაც კი, როცა ეროვნულობის ნიშანი არსებითად რელიგიური ნიშნით შეიცვალა, საქართველოს კონსოლიდაციის უპირველეს ნიშნად ისევ და ისევ ენა მიიჩნეოდა.

ამ მხრივ ნიშანდობლივია ის დიდი რწმენა, რომელიც X საუკუნის ჰიმნოგრაფის იოანე ზოსიმეს სიტყვებით არის გამოხატული: „დამარხულ არს ენაი ქართული დღედმდე მეორედ მოსვლისა მისისა საწამებლად, რათა ყოველსა ენასა ღმერთმან ამხილოს ამით ენითა... და ესე ენაი შემკული და კურთხეული სახელითა უფლისაითა, მდაბალი და დაწუნებული, მოელის დღესა მას მეორედ მოსვლისა უფლისასა..."

შემთხვევითი არ არის საქართველოში ყურადღების ესოდენ ხაზგასმული გამახვილება ენის, საკუთრივ ენის ფაქტორზე: ენა ერის არსის ერთ-ერთი ძირითადი გამომხატველია.

აქ ვახსენეთ: „ერთ-ერთი ძირითადი" და არა: „ერთადერთი"

ეს იმიტომ, რომ ეროვნული მეობის საფუძველთა საფუძველი მაინც ეროვნული შეგნებაა, რომელიც გააზრებს ენისა და კულტურის ერთიანობით. თუ ზედმიწევნით სიზუსტეს დავიცავთ, უნდა ასე განვსაზღვროთ: ეროვნულ ერთიანობას განაპირობებს ის ენა, რომელიც ეროვნულ კულტურას უდევს საფუძვლად.

საქმე ისაა, რომ ზანური (მეგრულ-ჭანური) და სვანური, წმინდა ლინგვისტური თვალსაზრისით, დამოუკიდებელი ენობრივი სისტემებია, თუმცა ძალზე ახლოს მდგომი საკუთრივ ქართულთან. ეროვნული ერთიანობისა და კულტურის ენა კი ქართველთა სამივე შტოს წარმომადგენელთათვის იმთავითვე იყო და

დასასრული მე-4 გვ.

## უკვდავება ღვაწლისა

### ქართული ბიბლიოთეკა

# უანგარო მოღვაწე

შესრულდა 90 წელი ბატონი გიორგი როგავას დაბადებიდან. გიორგი როგავა: ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, საქართველოსა და ყაბარდო-ბალყარეთის მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე... სხვადასხვა დროს — ქუთაისის პედაგოგიური ინსტიტუტის ქართული ენის კათედრის გამგე, ენათმეცნიერების ინსტიტუტის უფროსი მეცნიერი მუშაკი, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის კავკასიურ ენათა კათედრის გამგე... ხუთი მონოგრაფიისა და 150-მდე სამეცნიერო სტატიის ავტორი...

და მაინც: ბატონი გიორგი როგავას ღვაწლის შეფასება და დაფასება მომავლის საქმეა...



ღვთიური მადლით აღსავსილ შემოქმედს უთქვამს:
„დიდი ბუნება მართო ჩანს...
არ არის დიდი,
მაღალ ტაძარში მაღალია
სულისკვეთებაც".

ქართველი ხალხის უპირველესი და უმაღლესი ტაძარი თბილისის უნივერსიტეტია, რომელმაც მისი დიდი დამაარსებლების წყალობით ერთად შეანივთა ყოველივე ის, რაც ქართველი ხალხის გონებას შეუქმნია საუკუნეთა მანძილზე და რაც სათუთად დაუდო ქართველთა სულიერ აღორძინებას.

უნივერსიტეტი ჩვენი ეროვნული თვითმყოფადობის ბურჯი გახდა და ეს, უწინარეს ყოვლისა, იმ დიდი ერისკაცების დამსახურებაა, რომლებიც მრავლისას ნებისმიერ სამეცნიერო დისციპლინების დაამკვიდრებდნენ. სწორედ მათ მიერ ჩაყრილ ბალავარზე აღიზარდა ახალი თაობა, რომელმაც ღირსეულად განაგრძო თავისი დიდი მასწავლებლების გზა.

ამ ახალი თაობის წარმომადგენელი იყო ბატონი გიორგი როგავა — ღვთით მირონცხებული პიროვნება და მეცნიერი.

თბილისის უნივერსიტეტის დამაარსებელთა უდიდესი დამსახურება ის იყო, რომ ისინი არ ჩაკეტილან ვიწრო ჩარჩოებში და ერთიანი სამეცნიერო პროგრამა დაუსახეს მომავალ თაობას: ქართული ენისა და ლიტერატურის კვლევა მხოლოდ, და უწინარეს ყოვლისა, კავკასიური ენებისა და კულტურის კონტექსტში.

და თუკი ამ პროცესს წარმატებით განხორციელება ეწერა, მხოლოდ იმის გამო, რომ ღირსეულმა მასწავლებლებმა იმ ღირსეულ მემკვიდრეებს გაუკვალეს გზა მეცნიერებაში, რომლებიც სულ მალე მათი სულიერი თანამებრძოლები გახდნენ.

მათ შორის, ვინც მთელი თავისი ცხოვრების მიზნად გაიხადა მეცნიერებისადმი ასკეტური თავდადება, ერთ-ერთი უპირველესთაგანი ბატონი გიორგი როგავა იყო.

პიროვნული სისპეტაკე და რაინდული კეთილშობილება, პარმონიულად შერწყმული მკვლევარის მაღალნიჭიერებასთან და გონიერებასთან — აი, ის, რითაც ხიბლავდა ყველას ბატონი გიორგი.

სპეციალისტებს კარგად მოეხსენება, თუ რაოდენ დიდია გიორგი როგავას წვლილი ქართველური და აფხაზურ-ადიღური ენების მრავალი საკვანძო პრობლემის შესწავლაში, რა სიზუსტით არის მის მიერ დადგენილი მრავალი ენობრივი კანონზომიერება, რაოდენ ღრმა წვდომა არის დამახასიათებელი მისი ჭეშმარიტად ლინგვისტური აღმოჩენებისთვის, რომელთაც არცთუ იშვიათად ზოგადთეორიული ღირებულება ენიჭება.

მისი უმნიშვნელოვანესი ენათმეცნიერული მიგნებები, სხვა მკვლევართა მიერ უკვე გაზიარებული და საენათმეცნიერო ლიტერატურაში დამკვიდრებული, სამომავლოდ კიდევ ელის სათანადო შეფასებას და დაფასებას. არ გვეჭვება, რომ სანთელ-საკმეველი თავის გზას არ დაკარგავს.

ბატონი გიორგი იყო მაღალი რანგის მეცნიერი, რომელმაც გამორჩეული წვლილი შეიტანა იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერების შექმნასა და დამკვიდრებაში, მაგრამ იგი არასდროს დახარბებია დიდების გვირგვინებს.

ჭეშმარიტი ნიჭი მოკრძალებულია, ჭეშმარიტი საქმე — უხმაურო.

ბატონი გიორგი როგავას ცხოვრება ნიმუშია იმისა, თუ რა სიდარბაისლე, სიბრძნე და სიღრმე არის ხალხის ნიჭით აღბეჭდილი მეცნიერის მოღვაწეობაში, რომელიც თავისუფალია ყოველგვარი გარეგნული და ზერელე ეფექტებისაგან.

არ უყვარდა ბატონ გიორგის ხმაურიანი სიტყვები, არც თავისი ღვაწლის საჯაროდ დაფასებას დანატრებია ვინმეს. მაგრამ ახლა, სიკვდილ-სიცოცხლის მიჯნაზე უთუოდ [illegible] უნდა ვთქვათ ის, რაც იყო სინამდვილეში კაცი, რომელიც ჩვენ გვერდით ცხოვრობდა, არ ზმაერიდა, არ ბობოქრობდა, მაგრამ იყო ჭეშმარიტი შემოქმედი, [illegible] — ამ სიტყვის პირველი და პირდაპირი მნიშვნელობით.

თუ ვინმე შეიძლება იყოს ნამუში სიკეთით [illegible], მათ შორის უპირველესთაგანი ბატონი გიორგი როგავა გახლდათ. ჭეშმარიტად, არ არსებობს [illegible] უფრო დიდი საზრუნი, [illegible] ამამაღლებს, სიყვარულს, რომელიც სულიერად ამაღლებს და მოყვასის ლხინისა(?) გარეგნულ გვიანდება.

ბატონმა გიორგიმ უშურველად იცოდა სიყვარულის გაცემა, სანაცვლოდ კი არაფერს ითხოვდა.

ბატონ გიორგის მოუხდა ცხოვრება იმ პერიოდში, როდესაც ადამიანის ზნეობას დიდი გამოცდა ელოდა, როცა უზნეობა ლამის ცხოვრების წესად იქცა, როცა ამ ცთუნებისაგან, სამწუხაროდ, ზოგმა ნიჭიერმა პიროვნებამაც ვერ გაიარა და თავი; ბატონმა გიორგიმ ღირსეულად გაიარა ეს ბეწვის ხიდიც და უმწიკვლო, ნათელმოსილი და ჭეშმარიტი კაცობის ნიმუშად[illegible] მიუვიდა სამარადისო სავანეში ჩვენს დიდებულ წინაპრებს.

ბატონ გიორგის მოუხდა ცხოვრება მაშინ, როცა ყალიბდებოდა ქართული ენათმეცნიერების ახალი ეტაპი, ხშირად წინააღმდეგობრივი, უზომო ჩარევებისაგან დაუზღვეველი, მხოლოდ ჭეშმარიტი მეცნიერის რაინდულ შემართებას შეეძლო ეხსნა ახალი დროის მეცნიერება დამამცირებელი კონიუნქტურისაგან. ბატონი გიორგი იმ მეცნიერთა ჯგუფს ეკუთვნოდა, რომელთაც ძალისხმევამ იხსნა ქართული ენათმეცნიერება ასეთი სამარცხვინო დაღუპვისაგან.

ბატონმა გიორგიმ ის პერიოდიც გამოიარა, როცა კავკასიის ხალხთა მრავალსაუკუნოვანი, ღრმად სულიერი მეგობრობის შეცვლა სცადეს ხალხთა მტრობის დამკვიდრებით და ზერელე ლოზუნგებით. გიორგი როგავამ კარგად იცოდა ჭეშმარიტად რაინდული მეგობრობის ფასი და [illegible] ჯანსაღი ნიადაგის ფასი, როცა საქართველოს [illegible] ქართველი და კავკასიის ხალხთა [illegible] საერთო წინააღმდეგობრივ, მაგრამ, უმეტესად, მაინც ერთმანეთის მხარდამხარ თანაცხოვრების ტრადიციას ემსახურებოდა.

დიდი ტკივილი, დიდი მწუხარება ბატონ გიორგისთვის განსაკუთრებით, [illegible] მხოლოდ [illegible], არამედ [illegible] და რაინდული კეთილშობილება, რომელიც სულიერ ხიდს სჭირდება ახლა ჩვენს საზოგადოებას.

ბატონი გიორგი დააკლდა ჩვენს უნივერსიტეტს, რომელსაც თავისი მოკრძალებითა და სიდარბაისლით ამშვენებდა მუდამ.

იგი დააკლდა მთელ ქართველ ხალხს, რომელსაც ახე სჭირდება დღეს საქმისადმი თავდადებული, ღრმად განსწავლული და უანგარო მოღვაწე.

იგი დააკლდა მთელს კავკასიას, [illegible], რომელიც თავისი [illegible] ჩვენს სულიერ [illegible].

„მოვიდა ქვეყნად და თავისი მოსვლით ქვეყანასაც ბევრი რამ არგო" — ბრძანებდა ილია ღირსეულ მამულიშვილზე.

ბატონი გიორგი ჩვენთვის დასახსოვრებელია არა მხოლოდ მეცნიერული ღვაწლის, არამედ თავისი ღირსეული კაცობის გამოც.

ასეთი ადამიანების ცხოვრება სხვათა მაგალითად და მიბაძვის საგნად იქცევა ხოლმე.

ასეთ მაგალითად დარჩება ბატონი გიორგი როგავას ცხოვრება მათთვის, ვისაც მეცნიერების ჭეშმარიტი მსახურება გაუხდია მიზნად.

**ბესარიონ ჯორბენაძე**

სიტყვა წარმოთქმული სამგლოვიარო მიტინგზე 1990 წლის 4 ნოემბერს.

ბურჯი ეროვნებისა

## ჩვენი ანკეტა

# ენა და მწერალი

რამდენიმე ქართველ მწერალს მივმართეთ შეკითხვებით:

1. მ. ჯავახიშვილი წერდა: „ენა მწერლის ბალავარია, მისი უმთავრესი იარაღია. ენის უცოდინარი მწერალი სამფეხა ცხენსა ჰგავს: გენიოსიც რომ იყოს, ვერც გაიქცევა და ვერც დაიძვრება". თქვენი აზრი ამის თაობაზე.

2. ქართული ენისადმი დამოკიდებულების თვალსაზრისით, რომელი მწერალი მიგაჩნიათ სამაგალითოდ და რატომ?

3. თანამედროვე მწერალთაგან ვის გამოყოფდით ენის თვალსაზრისით?

4. ფიქრობთ თუ არა, რომ მწერლის ინტერესი სალიტერატურო ენისადმი მინელდა?

5. რა აზრისა ხართ სალიტერატურო ენის ნორმირების თაობაზე? როგორ წარმოგიდგენიათ მწერლის „ენობრივი თავისუფლება?"

6. როგორ გესახებათ დღევანდელ დღეს მწერლის როლი თანამედროვე ქართული სალიტერატურო ენის მოვლა-პატრონობაში?

7. კ. გამსახურდიას აზრით: „ჩვენი კრიტიკა უგულებელყოფს ხშირად არა მარტო სტილისტებსა და ენობრივ მომენტებს მწერლის შემოქმედებისას, იგი თვით იმის განსჯაში არ შედის, თუ რამდენად არღვევს ესა თუ ის მწერალი ქართული ენის ელემენტარულ ნორმებსა და სწორ წერას". თვლით თუ არა, რომ კლასიკოსის პრეტენზია კრიტიკის მიმართ სწორია?

### ჩვენს შეკითხვებს უპასუხებს ბატონი ზურაბ ჭანჭიკიძე

1. სხვა მოსაზრება არც შეიძლება გქონდეს ნორმალურ ადამიანს.

2-3-5. თუ შეიძლება, მე-2, მე-3 და მე-5 შეკითხვებს ერთად ვუპასუხებ.

ქართული ენისადმი დამოკიდებულების თვალსაზრისი არ არის ერთწახნაგოვანი. ჯერ ვიმსჯელოთ, ვის ვთვლით კარგ მოქართულედ?

ზოგს კარგ მოქართულედ ის მწერალი მიაჩნია, რომელსაც ძალზე მდიდარი ლექსიკა აქვს, უხვად ფლობს და იყენებს ქართულ იდიომებს.

გეთანხმებით, ასეთი მწერალი კარგი მოქართულეა, მაგრამ მარტო ეს არ არის საკმარისი.

ენა ვითარდება, ვითარდება ძალიან სწრაფად. ანუ ენა მახინჯდება, მახინჯდება ძალიან სწრაფად! დღეს, როცა ამდენი გაზეთი გამოდის, დღეს, როცა ამდენი დამოკიდებული თუ დამოუკიდებელი ტელეკომპანია მუშაობს, დღეს, როცა ამდენი ჟურნალისტი ემსახურება პრესას და რადიო-ტელევიზიას, ენის დამახინჯების დაჩქარებული პროცესი ბუნებრივიცაა. ამ რამდენიმე ათას ჟურნალისტში რამდენია ისეთი, რომელმაც კარგად იცის ენა? რამდენი გაზეთი გამოდის ისეთი, რომელიც ქართული ენის ცოდნის ნიმუშს იძლევა?

ხშირად ამბობენ, მწერლობა ენას ავითარებსო. შეიძლება ეს უწინ მართლაც ასე იყო.

ახლა კი?

რაგინდ პარადოქსულადაც მოგეჩვენოთ, ენას „ავითარებენ" ენის უცოდინარები! ასეთები ძალზე ბევრია. მათი „ქართული" ჩაგესმით ყველგან. ხალხს სჯერა პრესისა, ხალხს სჯერა რადიო-ტელევიზიისა და როდესაც ისინი კითხულობენ ან ისმენენ დამახინჯებულ ქართულს, ნელ-ნელა და საფუძვლიანად ითვისებენ მახინჯ ფორმებს, ქართული ენისათვის შეუფერებელ უცხოურ კონსტრუქციებს.

ეს პროცესი თანდათანობით უფრო გაძლიერდება. წიგნი ნელ-ნელა კარგავს მკითხველს. წიგნს ცვლის ტელევიზია. ხედვითი, ვიზუალური პროცესი გაცილებით იოლია და „ტევადი". „ანა კარენინას" წაკითხვას დღევანდელი დაძაბული ცხოვრების პირობებში ერთი თვე მაინც უნდა, თუ მეტი არა. ამ რომანის მიხედვით შექმნილი ფილმის ნახვას კი — სულ სამი საათი!

მწერლის სწორი ქართული კი ჰგავს თაროზე შემოდებულ იმ კანონს, რომელსაც არავინ იყენებს. ბატონი ვახტანგ ჯავახაძე წერს: „ჭეშმარიტი მწერლისათვის სალიტერატურო ენის ნორმები არ არსებობს. ჭეშმარიტი მწერალი თვითონ ქმნის ნორმებს. ამჯერად მწერალს უნდა ჰქონდეს და აქვს კიდეც სრული ენობრივი თავისუფლება".

მხოლოდ ნაწილობრივ შეიძლება დავეთანხმოთ პატივცემულ პოეტს, კარგი იქნებოდა მოეტანა ის ენობრივი ნორმები, რომლებიც ამა თუ იმ მწერალმა შექმნა და დაამკვიდრა. ბუნებრივია, ბატონი ვახტანგი ცალკეული გამოთქმების ან მივიწყებული სიტყვების დამკვიდრებასა და გაცოცხლებას არ გულისხმობს. იგი ლაპარაკობს ქართული ენის ნორმების შექმნაზე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

[illegible] მწერლის თვითნებობა, თუ იგი ქართული ენის ბუნებიდან არ გამომდინარეობს, მხოლოდ თვითნებობად, უკეთეს შემთხვევაში, მწერლის ინდივიდუალურ სტილად დარჩება. ასეთი თვითმიზნური ექსპერიმენტებით შექმნილი ნორმები ენაში ვერ დამკვიდრდება.

მე ვფიქრობ, დღეს ყველაზე კარგი მოქართულეა ის მწერალი, რომელიც გრძნობს ენის ევოლუციურ პროცესს და დროის მიერ მოტანილ სიახლეებს დაუმორჩილებს ქართული ენის ბუნებას.

5. თუ მწერალი ჭეშმარიტი მწერალია, როგორ შეიძლება დაკარგოს ინტერესი სალიტერატურო ენისადმი?!

6. ქართველი მწერლის ზეგავლენა ქართული ენის მოვლა-პატრონობაზე მცირდება. ამას ბევრი მიზეზი აქვს. ერთ-ერთ უმთავრეს მიზეზზე უკვე ვილაპარაკე. ახლა მეორე, არანაკლებ მნიშვნელოვან მიზეზზე მინდა მოგახსენოთ ჩემი მოსაზრება: დღევანდელმა გაჭირვებულმა ცხოვრებამ ხალხს წიგნი გადაავიწყა. ამ უბედურებას ისიც ემატება, რომ წიგნები თითქმის აღარ გამოდის. ბიბლიოთეკიდან წიგნის გამოტანა კი, როგორც უკვე ვთქვით, ტელევიზიის ეპოქაში ლამის ანაქრონიზმად იქცა, ამიტომაც მწერლის შემოქმედების ძალა ძალზე შეიზღუდა. ეს მეტისმეტად დამაფიქრებელი და შემაშფოთებელი მოვლენაა.

აი, ახლა შეიქმნა ქართული ენის სახელმწიფო კომისია, რომელსაც სათავეში რესპუბლიკის პრეზიდენტი უდგას. ვფიქრობ, ქართველმა მწერლებმა აქტიური მონაწილეობა უნდა მიიღონ მის საქმიანობაში, არამარტო აქტიური, არამედ წარმმართველი!

მაქვს ერთი წინადადებაც, რომელიც არაერთხელ მითქვამს და ქართული ენის სახელმწიფო კომისიის სხდომაზეც განვაცხადე. საჭიროა სასწრაფოდ შეიქმნას ხუთკაციანი „სწრაფი რეაგირების ჯგუფი", რომელიც ტელევიზიით თვეში ერთხელ, ერთსა და იმავე დღეს და ერთსა და იმავე დროს განიხილავს არა ენობრივ შეცდომებს, არამედ ქართული ენის დამახინჯების ლამის დაკანონებულ ფორმებს. ეს უნდა იყოს არა მიფუჩეჩებული, არამედ მთელი სერიოზულობით მომზადებული გადაცემები, რომლებიც პირველ რიგში გათვალისწინებული იქნება პროფესიონალებისათვის.

7. ეს საკითხი იმდენად ნათელია და ალიარებული, რომ არ ღირდა კ. გამსახურდიას შეწუხება.

ეროვნული ბიბლიოთეკა



# 17 ნოემბერი — გალაქტიონ ტაბიძის დაბადების დღე

* * *

რარიგ კარგია, სამშობლოვ,
შენი მტკვარი და რიონი,
შოთა, ილია, აკაკი,
ვაჟა.

ორ ზღვათა შუა მდებარე
ბრწყინავდა კავკასიონი,
შოთა, ილია, აკაკი,
ვაჟა.

სულ მაღლა გორის ციხეა,
სულ დაბლა — ძველი სიონი,
შოთა, ილია, აკაკი,
ვაჟა.

დაბლით კოლხეთის ველია,
მაღლიდან დგას ბახტრიონი,
შოთა, ილია, აკაკი,
ვაჟა.



ამ ლექსში მთავარია არა ის, რაც წერია, არამედ — რაც გამოტოვებულია და აშკარად იგულისხმება: ვაჟას შემდეგ ჩამოვარდნილი იძულებითი პაუზა, ინერციით გაგრძელებული რიტმი და შესაბამისი რითმებით გამართლებული მკითხველის ჩართვა (სხვათაშორის, რამდენიმე გამოცემაში ნაკლული რეფრენი გაშიფრეს და ლექსს მარილი დააკლდა).

პოეტმა არ დაამთავრა სტროფები და შთამომავლობას მიენდო.

ეს ხერხი კი, ყველა შემთხვევაში, გალაქტიონისეულია და იგი გადაწონის ყოველგვარ საავტორო უფლებას, რადგან წაშლის ნიჭი უფრო დიდი ნიჭია.

ვახტანგ ჯავახაძე
წიგნიდან „უცნობი"

აბიტურიენტის ფურცელი

## ვაჟა-ფშაველას „სტუმარ-მასპინძლის" ქრისტიანული არსის გაგებისათვის

## რა ენა წახდეს

# ანტირეკლამა

**პროფესორ ზურაბ ჭუმბურიძის ეს წერილი დაიბეჭდა 1994 წლის 10 მარტს გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკაში".**

**ვინაიდან მასში დასმული საკითხები დღესაც მოუგვარებელია, გადავწყვიტეთ ჩვენს გაზეთშიც დაგვეთმო მისთვის ადგილი.**

რეკლამამ ჩვენს დღევანდელ უთავბოლო წუთისოფელში ძალიან გაიფართოვა სარბიელი. ჩვენი ჟურნალ-გაზეთები, ტელევიზია, რადიო სავსეა ათასგვარი რეკლამით: ვინ რას ყიდის და ყიდულობს, ვინ სად გვეპატიჟება სამოგზაუროდ „მანქანების ნაწილებით" თუ „შეუზღუდავი რაოდენობის ბარგის გადმოტანით", ვინ „დაჩქარებული მეთოდებით" უცხო ენის შესწავლას გვპირდება, ვინ კომპიუტერულ „უნივერსიტეტსა" თუ „აკადემიაში" გვიწვევს „პრესტიჟული პროფესიის დასაუფლებლად" და ა.შ.

ახლა, როცა არავითარი ცენზურა აღარ არსებობს და ბარიერები მოხსნილია, ყოველს როგორც სურს, ისე უწევს რეკლამას თავის თავს და თავის საქონელს, — გასაკვირი არაფერი არის. რეკლამის ხარისხი, რა გასაკვირია, ალაგ-ალაგ აწუხებს. ენობრივ ნაკლზე რომ მიუთითო, სიცილს დაგაყრიან — წერე და იკითხე! ასეთ დროს კრიტიკაც ზოგიერთისთვის მხოლოდ რეკლამის ერთ-ერთი სახეა.

ამის მიუხედავად, მაინც ვერ შევურიგდებით და დუმილით ვერ ავუვლით გვერდს ქართული ენის დამახინჯების საწუხარო ფაქტებს, რასაც ყოველ ნაბიჯზე ვხვდებით. ამჯერად მხოლოდ სარეკლამო აფიშებზე შევაჩერებთ ყურადღებას.

თბილისის ცენტრალურ ქუჩებში გამოკრული აფიშები ხშირად გვეპატიჟებიან ფილარმონიის დიდ საკონცერტო დარბაზში სხვადასხვაგვარ კონცერტებზე, კონკურსებზე, იუმორის საღამოებზე. მართალია, ეს „საღამოები" დღისით და ზოგჯერ სულაც დილით იმართება, მაგრამ უსაქმურად დარჩენილი მაყურებელი ამას უკვე შეეჩვია. ჯერჯერობით სხვა გამოსავალი მართლაც არ არის, — რადგან მოქალაქე საღამოს საათებში ქუჩაში ცხვირს ვერ გამოყოფს.

მაგრამ ამას რა უშლის ხელს, რომ აფიშები ნორმალური ქართული ენით დაწერილი?! ეს არც ისე ძნელია! უკეთ რომ ვთქვათ, არც ისე ადვილია, როგორც ფილარმონიის ზოგიერთ მუშაკს ჰგონია: ვისაც ორთოგრაფიული ლექსიკონი ერთხელაც არ სჭერია ხელში, მათთვის სულ ერთია, ტექნიკას ეხება საქმე თუ „ტეხნიკას", კონკურსის მონაწილეებს ჟიური დასაჩუქრებს თუ „ჟიური"...

აფიშის ტექსტის შემდგენელს უნდა მოეხსენებოდეს, რომ მეცენატი ჰქვია „მეცნიერებისა და ხელოვნების მფარველს" და არ შეიძლება ვინმეს ეწოდოს „კონცერტის მეცენატი", მით უმეტეს, როცა ამ კონცერტის დებიუტანტი მისი შვილი ან შვილიშვილია. აფიშამ, პირველ ყოვლისა, ის უნდა გვაუწყოს, ხელოვნების რა ჟანრში იწყებს მოღვაწეობას დებიუტანტი. როცა სპორტს ეხება საქმე და მისი რეკლამირება გინდა, არ შეიძლება მკითხველი დატანჯო ასეთი რებუსებით: „საღამოს სპონსორები — ფ.შ.ს. „ეფი" და შ.პ.ს.

ახლა, როგორ მოგწონთ ასეთი „ქართული": „მოდების შოუ იუმორის აქციებს კონკურსი ირაკლის 18-30 წლის ასაკის მოურიდებელი მანეკენების მონაწილეობით... კონკურსში მონაწილეობის მიღება შეუძლიათ სტუდენტებს, მოსწავლეებს და ყველა მსურველს, ვისაც აქვს ფოტოგენური მონაცემები, სიმაღლე და სხვა მონაცემები".

ძნელია ამის დაწერის ტექნიკის წესების დაცვით ველაპარაკოთ. ასეთი შეცდომებისთვის ნებისმიერი ადმინისტრაცია ნებისმიერ ორგანოს დაისჯებოდა.

ძვირფასო მეგობრებო, ჩვენი ფილარმონიის მუშაკებო! ნუ გეწყინებათ, რაც ითქვა, უნდა, დასაპატიებელი და მისატევებელი იქნება ზოგჯერ მეცნიერების მიერ შესაძლებელი გაუგებრობის გამონაკლისი. მაგრამ ამ დროს ქართული ენის საწყისებს დაცვას ნუ დაივიწყებთ. რაკი თვითონ ვერ ახერხებთ, სხვებს მიმართეთ, გაასწორებინეთ ტექსტი და ისე დაბეჭდეთ თქვენი აფიშები. მაშინ ვერა, უხალისოდ დაგვხვდებით. გვერწმუნეთ, ამას რეკლამისთვის არ ევნება, მხოლოდ ქართული ენის მიერ გაიწევს.

# ეს არაფერს არ ჰგავს

ქართული ენის სიწმინდისათვის ბრძოლამ ჩვენი საზოგადოებრივი ცხოვრების ყოველი სფერო უნდა მოიცვას, თორემ ხვალ გვიან იქნება. ამაში ადვილად დავრწმუნდებით, თუ თვალს მივაპყრობთ ჩვენს ყოფაში დამკვიდრებულ ისეთ ქართულს, რომელსაც ანალოგი არ მოეპოვება. მხედველობაში გვაქვს ჩვენი ცხოვრების ისეთი სფერო, როგორიცაა ავტოტექმომსახურება. იმ უამრავ სახელოსნოს, რომლებითაც მოფენილია ჩვენი დედაქალაქი, ისეთი ქართული „ამშვენებს", რომ ქართველი კაციც კი ძნელად მიხვდება მის მნიშვნელობას. ასეთ სახელოსნოებში, როგორც წესი, ისმის: „რაზვალი", „ზაჟიგანიე", „მიგალკა", „პეროდოკი", „ბალანსიროვკა", „ტორზენი სვარკა", „ტიაგები", „შპაკლი", „გრუნტოვკა", „სიდენიები", „სვეჩები", „კრილოები", „კალპაკები", „რუჩკები", „პადკრილნიკები", „პაკრიშკები", „დისკები", „რეზინავოი პალეცი", „ვტულკები", „რაზვალნი ვტულკები", „შაროვოი პალეცი", „კარენვალი", „ნაკანეჩნიკები", „რულევოი კალონკა", „ტორმაზნოი კალოტკა", „მაიატნიკი" და სხვა მისთანანი.

როგორც ვხედავთ, ამ ცნებათა დასახელებისას ამოსავალია რუსული ენა და სრულიად უგულებელყოფილია ქართული. არადა ყოველი ცნებისათვის ქართულში არსებობს შესატყვისი: развал — ლილვობი, зажиганис — ანთება, мигалка — ციმციმა, балансировка — შეწონასწორება, ბალანსირება, тяга — საწევი, грунтовка — დაგრუნტვა, сиденье — სავარძელი, свеча — სანთელი, крыло — ფრთა, колпак — ხუფი, თალფაქი, ручка — ტარი, სახელური, покрышка — საბურავი, диск — დისკო, коренной вал — ძირითადი ლილვი, наконечник — ბუნიკი, рулевая колонка — საჭის სვეტი, тормозная колодка — მუხრუჭის ხუნდი, маятник — ქანქარა და სხვ.

ამ საკითხების მოსაგვარებლად დროულად უნდა ვიზრუნოთ, თორემ ასეთი „ქართულით" მეტისმეტად ვავნებთ ჩვენს მშობლიურ ენას.

ᲘᲜᲐ ᲯᲘᲑᲐᲫᲔ

ეროვნული ბიბლიოთეკა

## რა ენა წაჰხდეს

### ადგილი აქვს

მყარი შესიტყვება **ადგილი აქვს** რუსულიდან შემოსული კალკია (შდრ.: имеет место) და ნიშნავს: ხდება ხოლმე, რისამე შემთხვევები არის, შეინიშნება რამე. ეს გამოთქმა განსაკუთრებით ბოლო დროს გავრცელდა ქართულ სალიტერატურო ენაში და, თუ ზოგჯერ ლექსიკური ერთეულების ასეთი ჩანაცვლებით ენა იგებს ახალ წარმოებას, ამ შემთხვევაში ეს გამოთქმა ქართულისათვის ბუნებრივ გამოთქმებს ხშირად ანაცვლებს და სტილისტურად მიუღებელია. კერძოდ, ამ რიგისაა ის შემთხვევები, როდესაც **ადგილი აქვს** დაკავშირებულია საწყისთან. შესიტყვება **ადგილი აქვს + საწყისი**, რომელიც მთლიანად წინადადებაში შემასმენლის ფუნქციას ასრულებს, ქართულისათვის არაბუნებრივი და შეუფერებელია და უნდა შეიცვალოს ამ გამონათქვამის შესატყვისი ზმნებით.

ამის მიხედვით ენობრივად გასამართავია შემდეგი წინადადებები: „როცა წარმოება მომგებიანია, **ადგილი აქვს** შრომის ნაყოფიერების **ზრდას** [უნდა იყოს: იზრდება შრომის ნაყოფიერება]" („იერ. განთ."); „წალკის რაიონში... გაიზარდა დანაშაულობათა... შემთხვევები, ეს იმ დროს, როცა მთლიანად რესპუბლიკაში **ადგილი აქვს კლებას** [უნდა იყოს: მთლიანად რესპუბლიკაში იკლო]" („საქ. კომ."); „დადგენილია, რომ ზოგიერთ სატყეო მეურნეობაში... ადგილი აქვს კულტურების **დაღუპვას** [უნდა იყოს: იღუპება კულტურები]" („საქ. ბუნ."); „**ადგილი აქვს** მცენარისათვის უკვე გამოუსადეგარი... ნივთიერების **დაგროვებას** [უნდა იყოს: გროვდება მცენარისათვის უკვე გამოუსადეგარი ნივთიერება]" („ჭიათ. მაღ."); „ყინვის ხანგრძლივობის შესაბამისად **ადგილი აქვს** ვაზის... **დაზიანებას** [უნდა იყოს: ზიანდება ვაზი]" („გამარჯვ."); „ბევრ კოლმეურნეობასა და საბჭოთა მეურნეობაში **ადგილი აქვს** საკვების არა მარტო უყაირათოდ **ხარჯვას**, არამედ **დატაცებასაც** კი [უნდა იყოს: საკვებს არა მარტო უყაირათოდ ხარჯავენ, არამედ იტაცებენ კიდეც]" („იერ. განთ."); „ცხადია,... **ადგილი ექნება** ხარისხის **დაცემას** [უნდა იყოს: ცხადია, დაეცემა ხარისხი]" („სოფლ. ცხოვრ."); „1974 წელს... სასამართლომ განიხილა სულ 8 პიროვნების საქმე, რომელთა მხრივ **გასაჩივრებას ადგილი არ ჰქონია** [უნდა იყოს: ...რომელთაც არ გაუსაჩივრებიათ]" („საქ. კომ."); „რემონტის ხარისხს არ ვამოწმებდით, დღემდე **შეფერხებას ადგილი არ ჰქონია** [უნდა იყოს: რემონტი დღემდე არ შეფერხებულა]"

### ალიზავა მიწისკაზან პირისა

ეს გამოთქმა სახეცვლილი ვარიანტია ძველი ქართულიდან შემორჩენილი ფრაზეოლოგიური შესიტყვებისა — **აღგავა პირისაგან მიწისა**, რომელსაც სტილისტიკური მიზნით შედარებით ხშირად იყენებს თანამედროვე ქართული პრესისა და განსაკუთრებით მხატვრული ენა. მაგ.: „გრიგალი მთელ სოფლებს **აღგავდა პირისაგან მიწისა**" („ცისკ."); „ხელის განძრევაც რომ გავბედოთ, მიწის პირისგან აღგვავენ" (გრ. აბაშ.); ქართველთა მოდგმა **მიწის პირისაგან აღგავს** გადაუწყვეტია („ლიტ. საქ."); „მე და შენ გაერთიანებული ძალით **აღვგავით პირისაგან მიწისა** გულის ავადმყოფობას" (გ. გოგიჩ.).

არქაული სინტაქსური იერის მიუხედავად, ამ ფრაზეოლოგიზმის შინაარსი საესებით მარტივი და გამჭვირვალეა, მაგრამ, როგორც ჩანს, ზოგჯერ მას გაუაზრებლად ხმარობენ, რის გამოც უმართებულოდ უკავშირდება ერთმანეთს შესიტყვების წევრები. მაგ.: „**მიწისაგან პირისა აღგავა** ლების მაცხოვრის ეკლესია" („კომ."); „მაგრამ ხატინი ერთადერთი სოფელი როდია გერმანელი ფაშისტების მიერ **აღგავილი მიწისაგან პირისა**" („კომ."); „საბჭოთა ხელისუფლების დამყარებისთანავე **დედამიწისაგან პირისა აღგავეს იქნა** კაპიტალიზმის ყოველგვარი გადმონაშთი" („ჭიათ. მაღ."); „**მიწისაგან პირისა**" არაიშვიათად ისმის სატელევიზიო გადაცემებშიც. ყველგან უნდა იყოს **პირისაგან მიწისა** და არა **მიწისაგან** (მით უმეტეს **დედამიწისაგან**) **პირისა**.

ტრადიციულად დამკვიდრებული და შესისხლხორცებული ამგვარი მყარი შესიტყვებების დარღვევას სალიტერატურო ენა ვერ იგუებს.

**მასალები ამოღებულია „ქართული სიტყვის კულტურის საკითხების" VII ტომიდან.**

## მილოცვა

# ქალბატონო ელენე,

როცა გვითხრეს, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ახალი ქართული ენის კათედრის გამგეს, ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორს, პროფესორ ელენე ბაბუნაშვილს საიუბილეო თარიღი ესრულდებაო, საჯაროდ მოლოცვის პირველობა ვისურვეთ და ამ წერილის ნაჩქარევობაც ამითაა გამოწვეული...

ჩვენ, თქვენს მოწა-



ფეებსა და კოლეგებს, ბევრი რამ გვაქვს მოსაგონებელი და სათქმელი თქვენდამი, მაგრამ ამას მომავალი საიუბილეო თარიღებისათვის გადავდებთ. ამჯერად მადლობა გვინდა მოგახსენოთ იმ დიდი თანაგრძნობისა და თანადგომისათვის, რასაც ჩვენი გაზეთის მიმართ იჩენთ. რომ არა თქვენ და თქვენნაირი კეთილი ადამიანების მხარდაჭერა, ვერ გავბედავდით ამ საქმის წამოწყებას. ვისურვებდით, კვლავაც არ მოგვშლოდეს თქვენი თანადგომისა და დახმარების იმედი.

ქალბატონო ელენე, ხანგრძლივ და ნაყოფიერ სიცოცხლეს გისურვებთ ჩვენი ქვეყნის, ჩვენი ენისა და ჩვენი უნივერსიტეტის სასიკეთოდ.

## ენა და ნორმა

# ქველიმ თუ ქველმა

ქართულში ი — ხმოვანფუძიანი საზოგადო სახელები არა გვაქვს, საკუთარ სახელებში კი ასეთები საკმაოდ ხშირია; მაგალითად: გიორგი, ირაკლი, აკაკი და სხვა. მათი გავლენით არსებობს თანხმოვანფუძიან საკუთარ სახელთა ი — ხმოვანფუძიანებში გადასვლის ტენდენცია. ამის შედეგად არცთუ იშვიათად ესმება არასწორ ფორმებს, მაგალითად, მოთხრობითში: ვახტანგიმ, ეთერიმ; მიცემითში: ვახტანგის, ეთერის; წოდებითში: ვახტანგი! ეთერი! და სხვა.

ქართულ საენათმეცნიერო ლიტერატურაში აღნიშნულია, რომ ამ ტენდენციას ხელს უწყობს, ერთი მხრით, ენისათვის კანონზომიერი მორფოფონემატური პროცესი (თ. უთურგაიძე), მეორე მხრით კი ის გარემოება, რომ ერთმარცვლიანი საკუთარი სახელები ქართულისათვის უცხოა (მ. შანიძე, ზ. ჭუმბურიძე).

ჩვენი აზრით, თანხმოვანფუძიან საზოგადო სახელთაგან მომდინარე ანთროპონიმებში ი ხმოვნის ფუძესთან შეხორცებას ხელს უწყობს, აგრეთვე, ის ფაქტორი, რომ ამ ხმოვნით განსხვავდება ერთმანეთისაგან საკუთარი და საზოგადო სახელი. ასეთებია: ბადრი, ბეჟი, დევი, ზეიადი, მალი, მარადი, ნაზი, ნაში, ნელი, ნუკრი, ქველი, შმაგი და სხვ.

შესაბამისად, ბრუნებაც ასეთია:

| საზოგადო სახელი | საკუთარი სახელი |
|---|---|
| სახ. ქველ-ი | ქველი |
| მოთხრ. ქველ-მა | ქველი-მ |
| მიც. ქველ-ს | ქველი-ს |
| ნათ. ქველ-ის | ქველი-ს |
| მოქ. ქველ-ით | ქველი-თ |
| ვით. ქველ-ად | ქველი-დ |
| წოდ. ქველ-ო | ქველი |

მაშასადამე, ქველიმ და ქველმა ორივე სწორი, სალიტერატურო ენის მიხედვით მართებული ფორმებია, ოღონდ ერთი საზოგადო სახელია მეორე — საკუთარი, მათი ხმარება საკუთარ და საზოგადო სახელთა თვალსაზრისითაა განსხვავებული.

**რამაზ ქურდაძე**

ეროვნული ბიბლიოთეკა

## როგორ გაჩნდა სიტყვა

# ბიბლიური ნათელი ჩვენს მეტყველებაში

ამ ქრისტიანული ქვეყნების ხალხთა მეტყველებაში, სადაც ბიბლიურ წიგნებს დიდი გასაქანი ჰქონდა, საუკეთესო ბუნებრივად სწავლობდა ბიბლიური თქმის, იდიომის, სიტყვა-ხატის სიტყვა-ცნების დამკვიდრება. ამის მაგალითი ძალზე ბევრია ქართულშიც. კერძოდ, გურულ მეტყველებას შემოუნახავს ბევრი ასეთი საინტერესო სიტყვა. საყოველთაოდ ცნობილია გურული სახეობრივი, სატოვანი თქმა — მთასხლოგმშვლარისა (მოწყალის გაამწარა, იავარყო). ეს კომპოზიტი ადგილის აღმნიშვნელ ორ ბიბლიურ სახელს აერთიანებს: სოდომს და გომორას. ვიცით, რომ ცოდვების „სამუქრულ" ზენაარმა ეს ქალაქები გაანადგურა.

გურიაში ყური მოიკვრის ერთი უცნაური სიტყვისათვის — გაუამინა. იგი მოიმიხმენია, ეუქვია, ასეთ კონტექსტში: ბავშვს რაღაც დაიშავა და დედამისი კი არ გაუწყრა, არამედ პირიქით, ყოველივე ეს გაუამინა.

მაშასადამე, „გაუამინა" ნიშნავს წაქეზებას, დასტურის მიცემას, უქადაგა. ზიდა ნაწარმოებია ცნობილი ბიბლიური სიტყვისგან „ამინ". „ამინ!" ძველებრაულია. ის სიტყვიერი ქადაგებისა და ლოცვების დასკვნითი სიტყვაა. ნიშნავს: „ჭეშმარიტად! ჭეშმარიტად!" (ქეგლ). როგორც მოძღვრის ქადაგებას, ლოცვას მოისმენდა, ხალხი თანხმობის სიტყვა „ამინ"-ის წარმოთქმით დაუდასტურებდა.

გაუამინა ზუსტად იგივე ნაწარმოებია, როგორც მაგალითად, ასეთი სიტყვები: თამაში — გაუთამაშა, ლამაზი — გაულამაზა, ნახშირი — გაუნახშირა. ამისგან მიხედვით: ამინ — გაუამინა.

დიდად საგულისხმო ჩანს დედანი. კაცმა შეიძლება იფიქროს, თითქოსდა, სიტყვა მომდინარეობს დედა-სიგან, ოღონდ ქართულში დედა ცნების ხრული ფორმაა არა დედანი, არამედ დედალი. არც ისე ჩანს, თითქოსდა, დედალი ფორმის მიერ დედანი. საგულისხმოა, იგი იყოს ბიბლიური წარმოშობის სახელი, ბიბლიურ წიგნებში გვხვდება ადგილის სახელი დედანი (არაბეთში) და ნიშნავს უცხოელს, გადმოსახლებულს (იხ. „ბიბლიური ენციკლოპედია", მ., 1891, გვ. 189).

მართლაც, დედანი ქართულადაც გამოხატავს უცხოელს, გადაუსწორებელს, ავთენტურს, ქეგლ-ში იგი ასეა განმარტებული: (დედანი) 1. თავდაპირველი ტექსტი, საიდანაც გადაღებულია (გადაწერილი ან გადმოქართულებული არის), ან რომლის მიხედვითაც აწყობენ ტექსტს (სტამბაში)".

რაც თქმა უნდა, სიტყვის ქართული ეროვნული გააზრება მეორეული ჩანს.

არ შეიძლება არ დააფიქროს კაცი იმ გარემოებამ, რომ ჩვენს ერთ-ერთ ცნობილ რაიონულ ცენტრს კასპი ეწოდება. თუ ბიბლიის ენციკლოპედიას ჩავხედავთ, შესაძლებელია ამის ახსნა. წმინდა წიგნებში ხშირად მოიხსენიებული სიტყვა კასფია (კასპია) ებრაულია და ნიშნავს ვერცხლისფერს, თეთრს. ძველად ასე უწოდებდნენ არა მარტო ვერცხლისფერი ზღვას, არამედ თეთრად მოქათქათე მთებსაც (გვ. 385, I).

ამდენად, გასაკვირი არ უნდა იყოს, რომ „ქართლიდან" ძალიან დაშორებულ ზღვასაც იგივე სახელი ეწოდება, რაც ქართულ პროვინციას.

წმინდა წიგნებში ლეგიონს აქვს ორგვარი მნიშვნელობა: ა) 7000 კაცი და ბ) ბევრი, ძალიან ბევრი. გურულ დიალექტში ამ სიტყვას პირველი გაგება დაკარგული აქვს, ხოლო მეორე — შენარჩუნებული. საგულისხმოა, რომ სულხან-საბა ორბელიანის ლექსიკონში მას მხოლოდ ერთი გაგება აქვს: „პროვალი მებრძოლი".

დიდად საგულისხმოა ერთი გურული (ძირითი) ტოპონიმი — დიდელაში. ეს არის ადგილი, სადაც მინერალური წყლებია. შეიძლებოდა კომპოზიტი ასეც გავეხსნა: დიდ-მელაში. მართლაც, აღნიშნულ ადგილას დიდი ადგილია დაქანებული, ოღონდ ამ ახსნას შეიძლება ერთგვარი „შეტოქილობა გაუწიოს" ბიბლიურმა მასალამ. წმინდა წიგნებში მოხსენიებულია ქალაქი, რომელშიც იყო გოგირდოვანი მინერალური წყლები და მას ეწოდებოდა ლაშა(ჲ)-წყარო, რეშ, ყვმანი („ბიბლიური ენციკლოპედია", 423).

იქვე მოთავსებულია დაბადება X, 19: „ქანაანელთა საზღვარი იყო სიდონიდან გერარის მიმართულებით ღაზამდე; სოდომ-გომორის, ადმას და ცებოიმის მიმართულებით ლაშამდე".

აღსანიშნავია, რომ ძირითადად არსებული მინერალური წყლებიც გოგირდოვანია, ამასთან, არახლოს გამოდინა, ამ ადგილებისათვის უნისებ დიდ-მელაში ეწოდებოდნენ, ყოველივეს გამოცდილად იტყვიან ხოლმე დიდელაშს.

პოემა „სტუმარ-მასპინძელში" არის ასეთი ეპიზოდი: ქისტები დარიკოს საფლავზე კლავენ ზვიადაურს, რათა „მსახურად მკვდრის მიერთოდ და გაუხსნის ქალამნია".

საზგასმული ფრაზის კომენტარი შეიძლება „ბიბლიური ენციკლოპედიიდან" ამოვიღოთ: „სანდლის თასმების გახსნა ჩვეულებრივ მონათა საქმე იყო" (გვ. 520). იქვე მოთავსებულია მარკოზი 1,7: „ქადაგებდა და იტყოდა: ეხლა მოვალს უძლიერესი ჩემსა შემდგომად ჩემსა, რომლისა ვერ ღირს ვარ განხსნად საბელსა ხამლთა მისთასა".

როგორც ვხედავთ, ეს ბიბლიური რწმენა მთაში ვაჟაფშაველას დროსაც ცოცხალი ყოფილა.

შესაძლებელია, წმინდა წიგნები გვახსენებს გენეზისა და არის სიტყვა გასავათებული. ქეგლ-ში იგი ასეა განმარტებული: მეტისმეტად დაღლილი, დაქანცული.

სიტყვა იშლება ასე: გა-სავათ-ებ-ული. ვხედავთ, რომ ძირეული ცნების გამომხატველი სავათ, სავათი ქართულ ლექსიკონებში ვერ დავადასტურეთ, ეს იმას უნდა ნიშნავდეს, რომ სიტყვა უცხოურია. ასეთი წმინდა წიგნებს ჩვეულებრივ. სავათი // საბათი ებრაულია და ნიშნავს დასვენებას, რადგანაც ღმერთმა მოისვენა, ღვთაებრივი შექმნის შემდეგ („ბიბლიური ენციკლოპედია", მ. № 1891, გვ. 613).

ქართული ენა „გან" ზმნისწინით ხშირად აწარმოებს სიტყვის ძირითადი მნიშვნელობის საპირისპირო შინაარსს. მაგალითად, ტვირთული და განტვირთული, ... ასე რომ, „გან" ეწინააღმდეგება სიტყვის ძირითად შინაარსს. თუ სავათობის დროს ძალის აღდგენა ხდებოდა, მაშინ გასავათებული იქნება ამ ძალის უქონელი, ამ ძალისგან დაცლილი, ქანცგამოცლილი. ასეთია: ქართულში გასავათებული დაღლილ-დაქანცულს, ძალაგამოცლილს, ქანცგაწყვეტილს ნიშნავს.

ძნელად თუ ვინმე დაიჯერებს, რომ ზოგი მოხეტიალე სიტყვა არ არის ქართული. სასწავლებელში კი აქ გამოდგება ძირი რაღაც. „რაღაც" კი ხშირ ხმარებაში მყოფი სიტყვა ჩანს და ისიც აღნიშნავს, რასაც ლეგენდა, მინდორი, წყალი, წყარო, ველი... არადა, არაერთი ეს სიტყვა ქართული წარმოშობისა არ არის, გაქართულებულია.

კი! ძველად მათ მაგივრად ქართულად იხმარებოდა თავისთავადი ... (...) ასეთი „...". უცხოური არაქართული მოდგმის სიტყვა ისე წავიდა არაქართული ტერმინი მოიკვეთებოდა. და დღეს ეს საინტერესო სიტყვა მთლიანად გაქართულებულია: ერთი არის ის, რომ ტოც რაღაც (ე) არა აქვს, მისი სხვაგვარი ფორმაა მეტყველებელი; როგორიცაა, რადგანაც რაღაც ჩამოყალიბებული დამწერლობით; ეწოდება ეს იგივე რაღაც ეპოქის, ეპოქის ან რაიმე უკვალოდ.

სიტყვათა სიცოცხლე ზღვასა ჰგავს, ისიც დაუღალავია, მოძრაობს, აბობოქრდება და წყნარდება, ცვალებადია და მარადიული და მრავალფეროვანი.

მურმან თავდიშვილი

ეროვნული ბიბლიოთეკა

მეცამეტე გვერდი

# გადაწყვეტილებამდე და შემდეგ

ჩვენი გაზეთის წინა ნომრებში ქალაქში მომრავლებული არაქართული რეკლამების თაობაზე რამდენიმე ფოტომასალა დაიბეჭდა. შეკითხვითაც მივმართეთ დედაქალაქის მერიას და საპასუხოდ მერიის პრესცენტრმა 29 სექტემბრის გადაწყვეტილება გაგვაცნო. გთავაზობთ ამ გადაწყვეტილების ჩვენთვის საინტერესო ნაწილს:

დაევალოს „1.3. ქ. თბილისის მუნიციპალიტეტს (ბ-ნი მ. ტყეშელაშვილი) და დიზაინის სამსახურთან (ბ-ნი ზ. მგალობლიშვილი) ერთად მიიღონ გადამწყვეტი ზომები სარეკლამო გაფორმების მოსაწესრიგებლად. უახლოეს დროში აღრიცხონ და შესაბამისი ფირმებისა და კერძო სტრუქტურების საშუალებით შეცვალონ რაიონებში არსებული არაქართულენოვანი სარეკლამო წარწერები, აბრები, პლაკატები და ა.შ. ხოლო ახალი ფირმის შექმნისას დროულად იზრუნონ შესაბამისი სახელწოდების შესარჩევად."

ახლახან ისიც შევიტყვეთ, რომ 1995 წლის 24 ნოემბერს გაიმართა ქ. თბილისის მერიის კოლეგიის სხდომა, რომელზეც გადაწყდა, რომ მერიასთან შეიქმნება სახელმწიფო ენის ფუნქციონირების საზედამხედველო სამსახური. 2 დეკემბერს ქალაქის მერმა, ბატონმა ნიკო ლეკიშვილმა, სატელევიზიო გამოსვლისას მოგვიწოდა ამის თაობაზე (გადაცემა „პარტნიორობის ვიდეოში") იქვე ნათქვამს საქმის მოგვარების პირი უჩანს და, ჯეროვნადაც მიუდგებიან ამ ინიციატივას. მაგრამ ბოლო ხანებში ისე შევეჩვიეთ მიღებულ გადაწყვეტილებათა ნაადრევად მივიწყების ფაქტებს, ვშიშობთ, მერიის ამ გადაწყვეტილებამ მისი წინამორბედის ბედი არ გაიზიაროს...

რას ვგულისხმობთ? მოგახსენებთ: 29 სექტემბრის გადაწყვეტილების გამოქვეყნების შემდეგ ვითარება ქართული ენის სასარგებლოდ არ შეცვლილა. უფრო — პირიქით. ამის დასტურად ორ ფოტომასალას წარმოგიდგენთ, რა ვითარება იყო თბილისის ორ ცენტრალურ მოედანზე გადაწყვეტილებამდე და რა მდგომარეობაა დღეს.






ეროვნული ბიბლიოთეკა

## ინფორმაცია

1995 წლის 31 ოქტომბერს ქუთაისის აკაკი წერეთლის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტში ჩატარდა ბესარიონ ჟღენტის საზოგადოების რეგიონალური ორგანიზაციის დამფუძნებელი კრება. დამფუძნებელმა კრებამ აირჩია ბესარიონ ჟღენტის საზოგადოების ქუთაისის განყოფილების გამგეობა 9 კაცის შემადგენლობით: პროფ. მ. ალავიძე, დოც. ზ. კიკვიძე, პროფ. კ. კუბლაშვილი, პროფ. ა. ნიკოლეიშვილი, რ. სალინაძე, პროფ. ქ. ფეიქრიშვილი, დოც. ტ. ფუტკარაძე, დოც. მ. ქაცარავა, ნ. წულეისკირი.

ბესარიონ ჟღენტის საზოგადოების ქუთაისის რეგიონალური ორგანიზაციის თავმჯდომარედ არჩეულ იქნა აკაკი წერეთლის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის ქართული ენის კათედრის გამგე, დოცენტი მარინე ქაცარავა, პასუხისმგებელ მდივნად დოცენტი ზაალ კიკვიძე.

# ბათუმმა უმასპინძლა

საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის არნ. ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტის ქართველურ ენათა განყოფილების მიერ რესპუბლიკური სამეცნიერო სესიების ჩატარება სხვადასხვა სამეცნიერო ცენტრებში უკვე ტრადიციად იქცა. წლევანდელ რიგით XV დიალექტოლოგიურ სესიას ბათუმის შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტმა, კერძოდ, ქართული ენის კათედრამ, უმასპინძლა. XV სესია საიუბილეო თარიღს დაემთხვა: 1995 წელს ბათუმის უნივერსიტეტის არსებობის 5, ხოლო ყოფილ სახელმწიფო პედაგოგიურ ინსტიტუტს, რომლის ბაზაზეც უნივერსიტეტი აღმოცენდა, 60 წელი შეუსრულდა. ამიტომაც იყო, სესიის საორგანიზაციო კომიტეტმა წლევანდელი XV სესია ამ ღირსშესანიშნავ თარიღს რომ მიუძღვნა.

დიალექტოლოგიური სესიის მუშაობაში, ენათმეცნიერების ინსტიტუტის თანამშრომლებთა გარდა, აქტიური მონაწილეობა მიიღეს თბილისის ივ. ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის ძველი ქართული ენის კათედრის, ქუთაისის აკ. წერეთლის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის, ამავე უნივერსიტეტთან არსებული დიალექტოლოგიის ინსტიტუტის, თელავის იაკობ გოგებაშვილის სახელობის პედაგოგიური ინსტიტუტის, ცხინვალის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის ქართული სექტორის (ქ. გორში), ზუგდიდის კომპლექსური უნივერსიტეტის ქართული ენის კათედრის მეცნიერმა თანამშრომლებმა. სულ სესიაზე წარმოდგენილი იყო 32 მოხსენება (თეზისები გამოქვეყნებულია).

სამეცნიერო სესიის მუშაობაში ბათუმის უნივერსიტეტის რექტორი პროფ. ამის ახვლედიანი, ამავე უნივერსიტეტის ქართული ენის კათედრის გამგე პროფ. მამია ფაღავა, ენათმეცნიერების ინსტიტუტის ქართველურ ენათა განყოფილების გამგე პროფ. თემურაზ უთურგაიძე.

ორი დღის განმავლობაში უნივერსიტეტის სააქტო დარბაზში არ ჩაქრალა [illegible] რესპუბლიკის სხვადასხვა ქალაქებში მომუშავე ლინგვისტების თანამშრომლობისა და საქმიანი კონტაქტების აუცილებლობას.

**ბურამ ბელოშვილი,**
ენათმეცნიერების ინსტიტუტის [illegible] ლაბორატორიის გამგე, ფილოლოგიურ მეცნიერებათა კანდიდატი

# ახალი წიგნები

**გიორგი ყუფარაძე, ბავშვთა მეტყველების ინტონაციური სისტემის ჩამოყალიბების ეტაპები** — მონოგრაფიაში განხილულია ბავშვთა მეტყველების ინტონაციური სისტემის ჩამოყალიბება — განვითარების ეტაპები. ის კერძო თავისებურებები, რომლებიც შეინიშნება ბავშვთა მეტყველების ინტონაციურ სტრუქტურებში. ინტონაციის კომპონენტებიდან წინა პლანზე, სხვებთან შედარებით, ძირითადი ტონის მიმართულება (ანუ მელოდიკა) დგას.

ნაშრომი ძირითადად განკუთვნილია ზოგადი და ექსპერიმენტული ფონეტიკის სპეციალისტებისათვის.

**გიორგი წიბახაშვილი— ქართული ენა ყველასათვის (თვითმასწავლებელი სახაუბრო რუსულ ენაზე)** — წიგნი განკუთვნილია, ძირითადად, არაქართველთათვის, მათთვის, ვისაც სურვილი აქვს დამოუკიდებლად შეისწავლოს ქართული ენა. მასში წარმოდგენილია შესაბამისი გრამატიკული მასალა, დიალოგები, ტექსტები, რუსთაველის აფორიზმები, ქართული ანდაზები, რუსულ-ქართული ანტონიმების, ქართულ-რუსული და რუსულ-ქართული ლექსიკონები.

წიგნი გამოსცა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობამ.

**მეთოდური მითითებანი ქართული ენის სწავლების მეთოდიკაში** — მეთოდური მითითებანი დამუშავებულია თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის ქართული ენისა და ლიტერატურის მეთოდიკათა კათედრაზე. მასში განხილულია ფონეტიკის,მორფოლოგიისა და სინტაქსის სწავლების მეთოდიკის საკითხები. შემდგენლები: დოც. ო. გაჩეჩილაძე, დოც. ტ. სულაბერიძე.

ნაშრომი განკუთვნილია ფილოლოგიის ფაკულტეტის ქართული ენის სწავლების მეთოდიკის მასწავლებელთა დასახმარებლად.

წიგნი გამოსცა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობამ.

* * *

1995 წლის 20—24 ნოემბერს გაიმართა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის არნოლდ ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტის 54-ე სამეცნიერო სესია. მოისმინეს 36 მოხსენება ზოგადი ენათმეცნიერების, ქართული და მთის იბერიულ-კავკასიური ენების სტრუქტურებისა და ისტორიის საკითხებზე. მოხსენებათა თეზისები დაიბეჭდა.

* * *

საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის არნ. ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტის სამეცნიერო-საატესტაციო საბჭოს სხდომებზე დისერტაციები დაიცვეს:

ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად — **თამარ ვაშაკიძემ,** თემაზე „ზმნის აღწერითი წარმოება ძველ ქართულში".

ფილოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად — **ზაალ კიკვიძემ,** თემაზე „მრავლობითი რიცხვის ფორმათა სტილისტური დანიშნულებისათვის ქართულში".

**მაია კობიაშვილმა,** თემაზე „მტოგვარის სახელები ქართული ენის მთის დიალექტებში".

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ანაბანა



# მოდი, ვითამაშოთ

დღეს ერთ თამაშს შემოგთავაზებთ: „ანზე სით მოხვალ". გაგახსენდათ, ალბათ, ბესიკ გაბაშვილის ამავე სათაურის ლექსი, რომელიც კარგად გამოიყენა მწერალმა აკაკი ბელიაშვილმა რომანში „ბესიკ გაბაშვილის თავგადასავალი". თამაშის წესები ასეთია:

რამდენიმე შეკითხვაა დასმული:

1. საიდან მოდიხარ?
2. სად მიდიხარ?
3. ვისი ყმა ხარ?
4. რა გქვია?
5. რისი მშვილდი გაქვს?
6. რისი ისარი გაქვს?
7. რას ესროლე?
8. სად მოარტყი?

თამაშის მონაწილეები შეთანხმდებიან ბგერაზე, რომლითაც უნდა დაიწყოს ყველა პასუხი და ერთმანეთისაგან დამოუკიდებლად ფიქრობენ პასუხებზე. მოსაფიქრებელი დროის თაობაზე ან წინასწარ შეთანხმდებიან, ან ერთ-ერთი მოთამაშე მოითხოვს თამაშის შეწყვეტას. მოგებულად ჩაითვლება ის, ვინც მეტ კითხვას გასცემს პასუხს.

ბესიკ გაბაშვილს ზემოდასახელებულ ლექსში ყველა ბგერაზე აქვს პასუხი გაცემული, ანზე ასეთი პასუხია:

„ათინად ბრძენია გაზრდილი
აზიად ეშმაკობის არისა.
ამირბარს ვყმობ ავთანდილ
ამად რა ლომობათრისა.
ალვისა მშვილდი - შემმზერე
ისრად არქისა [illegible]
არწივს აფხაზსა [illegible]
მოფრინავსქართულსა".

ხანგასატყელი სიტყვები თითოეული კითხვის პასუხია.

გისურვებთ წარმატებას.

# აბა, გამოიცანი!

თავს გვაფარია ბანივით, მსუბუქია და ვრცელია,
რაც უნდა მაღალი იყოს, ვერ მოეწვდება ხელია,
არც უნდა ბოძი, კედელი, ფანჯარა, ანდა კარია,
აბა, თუ გამოიცანი, მზად არი საჩუქარია.

* * *

გამოცანას მოგახსენებ, გამოიცან — სიბრძნე გაქვსო,
ერთ სოფელში ორთა ძმათა ერთმანეთის ფერი აქვსო;
ერთს ჯარი ჰყავს უთვალავი, ერთსა მარტო
ტახტი აქვსო,
ერთი მუდამ სიყრმეზე დგას, ერთს სიბერე ახლო აქვსო.

* * *

ალუბ-ალუბიანო, ჩიბუხ-ტარებიანო,
დღე იმალებიანო, ღამე გამოდიანო.

## წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდის პასუხები

**ჰორიზონტალურად:** 1. ედემს. 2. მაგრა. 3. ხიდად. 4. მოუში. 5. დასტურდეს. 6. იგიცა. 7. არვის. 8. რჭანი. 9. მეორე.
**ვერტიკალურად:** 1. ეგზომ. 10. სძლია. 11. განგებასა. 3. ხარბი. 12. დიდთა. 4. მისთა. 13. იშობს. 8. რაზომ. 14. იგივე.

# რატომ ვამბობთ ასე?

## გედის სიმღერა

— ასე ეწოდება შემოქმედის (მწერლის, მხატვრის, მუსიკოსის) უკანასკნელ, სიკვდილისწინა ხანებში შექმნილ ნაწარმოებს, რომელიც ახლოს უხვევს ავტორის გამოთქმას საფუძვლად უდევს ხალხური ლეგენდა, რომლის თანახმად, გედი სიცოცხლეში მხოლოდ ერთხელ — სიკვდილის წინ მღერის. ეს ლეგენდა ასახულია ჯერ კიდევ ძველ ბერძენ მწერალთა თხზულებებში. მისი გამოძახილია გ. ტაბიძის სტრიქონები: „სიცოცხლეში თეთრი გედი მხოლოდ ერთხელ მღერის".

## ნიანგის ცრემლები

— ასე ქვია ცრუ, ყალბ ცრემლებს და მოჩვენებით თანაგრძნობას. ჯერ კიდევ დიდი ხნის წინათ შენიშნული ყოფილა, რომ ნიანგი, როცა მსხვერპლს გადასანსლავს, თითქოს, სიბრალულით, ცრემლებს ღვრის. სინამდვილეში, თურმე, ნიანგი ცრემლის სახით გამოყოფს ზედმეტ მარილებს და ამ გზით მკურნალობს თავის თავს. ასე რომ, მსხვერპლის შებრალება ან თანაგრძნობა აქ არაფერ შუაშია.

ზურაბ ჭუმბურიძის წიგნიდან „დედაენა ქართული"

ბურჯი ეროვნებისა

# ბრძოლაში ჩაება «ბაბილონის გოდოლი»

ქართული ენის გულშემატკივრებს კიდევ ერთი იმედი გაუჩნდა — დედაენის სა[illegible], როცა შაბათ საღამოს ტელევიზიით იხილა გადაცემა „ბაბილონის გოდოლი“ (ავტორი ფილოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატი ლევან ღვინჯილია).

დიახ, ქართული ენის სიწმინდისათვის ბრძოლის კიდევ ერთი ფრონტი გაიხსნა; რადიოპროგრამას „ენაი შემკული და კურთხეული“ (ავტორი და რედაქტორი თამაზ ხმალაძე) გვერდით ღირსეული პარტნიორი დაუდგა „ბაბილონის გოდოლის“ სახით. წარმატებასა და გამარჯვებას ვუსურვებთ მათ ქართული ენის ღირსებისა და უფლებების დასაცავად.

## მეცამეტე გვერდიდან

გადაწყვეტილებამდე




გადაწყვეტილების შემდეგ




გაზეთი „ბურჯი ეროვნებისა“
რეგისტრირებულია საქართველოს რესპუბლიკის იუსტიციის სამინისტროში, №1686.